**პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზია**

პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ „სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო“. სააგენტოს მიერ პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზია გაიცემა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ლიცენზიის მაძიებელს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის უფლება ენიჭება.

ლიცენზიის მაძიებელმა პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზიის მისაღებად სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გარდა, პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზიის მისაღებად, განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- ✓ ფიზიკური პირის შემთხვევაში: ცნობა მისი მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, ასევე იმ ფიზიკურ პირთა სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პროფესიის, სამუშაო ადგილის, პირადობის მოწმობის ნომრისა და

საცხოვრებელი ადგილის მითითებით), რომლებიც ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობაში არიან ჩართულნი, ცნობები მათი მსჯავრდების/მათთვის უფლების ჩამორთმევის, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ;

- ✓ იურიდიული პირის შემთხვევაში: ყველა დამფუძნებლის (თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია), ხელმძღვანელის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სია (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, თანამდებობის, პირადობის მოწმობის ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით), ცნობები მათი მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ; ასევე, შტატით გათვალისწინებული და ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომლების, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას, სია (სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, თანამდებობის, პირადობის მოწმობის ნომრისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით), ცნობები მათი მსჯავრდების/მათთვის უფლების ჩამორთმევის, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნისა და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ;
- ✓ პიროტექნიკური ნაწარმის ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა, მათ შორის, სახელწოდება, რაოდენობა და შესაბამისი კატეგორია;
- ✓ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა (მისამართების მითითებით), რომლებშიც უნდა განხორციელდეს პიროტექნიკური ნაწარმის წარმოება, დასაწყობება ან/და მისი რეალიზაცია;
- ✓ შესაბამის შენობა-ნაგებობაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ აკრედიტებული ინსპექტირების ან სახელმწიფო საექსპერტო ორგანოს მიერ გაცემული, შენობა-ნაგებობის ობიექტის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა;
- ✓ შესაბამისი შენობა-ნაგებობის სათანადო დაცვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ შესაბამისობის დეკლარაცია და შესაბამისობის შემფასებელი აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული პიროტექნიკური ნაწარმის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც რეალიზაციის ლიცენზიის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს მწარმოებლის მიერ გაცემული სახით, ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანით.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით.

**ნორმატიული აქტები:**

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

- ✓ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N94 დადგენილება „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციის ნებართვის/ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/6460264?publication=0